სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია** Socio-Political and Economic Geography
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი**[1] Master of Human Geography
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა** პროგრამა შედგება სამაგისტრო ნაშრომის, სავალდებულო და არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსებისგან. **პროგრამაში შედის 2 მოდული:** 1. სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფია; 2. ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება. **120კრედიტი (ECTS), მათ შორის:** ➢ **სავალდებულო - 60 კრედიტი (ECTS):** - პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი; - სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი; ➢ **არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 60 კრედიტი (ECTS):** - ერთ-ერთი მოდული - 30 კრედიტი[2]; - სხვა არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი - თავისუფალი კრედიტი - 10 კრედიტი. **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული

[1] თუ სტუდენტმა შეასრულა პროგრამის ერთ-ერთი მოდული, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციას ასევე მიეწერება შესაბამისი მოდულის დასახელება.

[2] სტუდენტს შეუძლია 30 კრედიტი დააგროვოს ერთ-ერთი მოდულით, ხოლო მეორე მოდულიდან და არჩევითი სასწავლო კურსებიდან აიღოს 20 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**გიორგი გოგსაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[3]	• სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით; • ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში[4] (ან დადასტურება შესაბამისი სერთიფიკატით) – B2 დონე (20 %); • გამოცდა სპეციალობაში[5] (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე) - წერით გამოცდა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში (80 %); • საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის** სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა და გამოუმუშავოს უნარ-ჩვევები, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლებათ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების გეოგრაფიული კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა და აღნიშნულ სფეროებში ცვლილებების შეფასება ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ

[3]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად.

[4] ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აქვს დარგობრივი ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

[5] შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

	დონეებზე.
სწავლის შედეგები *ა) ცოდნა და გაცნობიერება;* *ბ) უნარი;* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	*საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი არის სპეციალისტი, რომელმაც აითვისა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის და მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სამაგისტრო კურსები.* **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. სიღრმისეულად აღწერს და განმარტავს თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებსა და პარადიგმებს *(რაც მას ეხმარება სწორი წარმოდგენა შეიქმნას მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით მათი სივრცითი თავისებურებების შესახებ),* საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს; 2. კვლევის პროცესში სათანადოდ იყენებს ინფორმაციას და თანამედროვე ტექნოლოგიების როლს; 3. თანამედროვე თეორიებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებელად ატარებს კვლევას (საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა რეგიონში), კერძოდ, სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობა, საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დრო-სივრცითი ანალიზი და შედეგების შეფასება; 4. დამოუკიდებლად მოიძიებს, განაზოგადებს, აანალიზებს და აფასებს სალიტერატურო, სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ მასალებს (მათ შორის საველე პირობებში); 5. გამოიყენებს პროფესიული ეთიკის ნორმებს პრაქტიკაში კარტოგრაფიული და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებისა და მიდგომების, კვლევითი და საექსპერტო საქმიანობისათვის; 6. ამყარებს უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან კონტაქტს (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ამზადებს

	და წარადგენს პრეზენტაციას; 7. სამეცნიერო ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშს და/ან ნაშრომს მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გეოგრაფიული ასპექტების შესახებ.
სწავლება-სწავლის მეთოდები	• ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • ლიტერატურასა დასხვაწყაროებზემუშაობის მეთოდი; • საველეკვლევისადადაკვირვებისმეთოდი; • შედარებითი ანალიზისმეთოდი; • სივრცით-დროითი ანალიზისმეთოდი; • სისტემური მიდგომის მეთოდი; • მონაცემთა ვიზუალიზაციისადა კარტოგრაფიული მეთოდი; • გეოინფორმაციული (გის) მეთოდი; • გუნდური მუშაობა დადისკუსია; • SWOTანალიზი. • ელექტრონული სწავლების მეთოდი, • გუნდური მუშაობა და დისკუსია, • ელექტორნული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

	• **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს,რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღები სშემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო

	დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[6].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის

[6] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის

	კათედრის (2005 წლიდან საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის, შემდეგ მიმართულების) კურსდამთავრებულები წარმატებით იყენებენ მიღებულ ცოდნას მეცნიერულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ საქმიანობაში. კურსდამთავრებულებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტები მუშაობდნენ და მუშაობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე. მათ შორის იყვნენ/არიან 2 პერემიერ-მინისტრი, 4 მინისტრი, 10-მდე მინისტრის მოადგილე და მათთან გათანებრებული პირი, 12 ელჩი. ორი კურსდამთავრებული ამჟამად მუშაობს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ- ბინაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შრომით ბაზარზე მთლიანობაში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და ეს მოთხოვნა არ მცირდება. წარჩინებულ სტუდენტებს მიმართულება რეკომენდაციას გაუწევს შესაბამის სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში მათი შრომათმოწყობის მხრივ. სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრების დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები), საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სექტორი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების

	მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).

აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 20 სტუდენტი. მოცემული სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია გეოინფორმაციული სისტემების (**GIS**) სწავლება, რაც მთლიანად შეესაბამება საზოგადოებრივ გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამებისადმი წაყენებულ მსოფლიო მაღალ

	სტანდარტებს. ზოგადად, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროს სამაგისტრო პროგრამები არსებობს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა ყველაზე ახლოს არის კონტინენტური ევროპის, განსაკუთრებით შვედეთის, ფინეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. **ანალოგები:** • **Geteborg University:** MA in Human Geography MA in Economic Geography • **Stockholm University:** MA in Human Geography • **Catholic University of Eichstatt:** MA in Geography/Tourism • **Uppsala University:** MA in Human Geography • **Kalmar University** MA in Human Geography ზემოთ მოცემული პროგრამების დახასიათება შეიძლება იხილოთ შემდეგ ვებ-გვერზე: www.gradschools.com • **University van Amsterdam:** MA in Human Geography www.studeren.uva.nl/regular_programmes • **Manchester University** MA in Human Geography www.sed.manchester.ac.uk

	• **Oslo University** MA in Human Geography www.iss.uio.no • **University of Sussex** MS in Human Geography www.sussex.ac.uk/geography • **University of Joensuu** International Master's Degree in Human Geography www.joensoo.fin/geo • **Moscow State University** MA in Social and Economic Geography www.msu.edu • **Macquire University (Australia)** Master of Arts in Human Geography by Coursework Graduate Diploma in GIS by coursework www.es.mq.edu.au/humgeog • **University of Buffalo. College of Arts and Sciences.** Department of Geography www.geog.fuffalo.edu

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: გიორგი გოგსაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021 (დანართი 62)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №32432; 27/12/2021 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/440/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2020 – 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[7] ნომერი და თარიღი): დადგენილება №22/2022 – 11/03/2022; № 61/2022 - 26/07/2022; №95/2022 – 07/10/2022; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024

[7] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120 კრედიტი (ECTS)												
სავალდებულო სასწავლო კურსები 60 კრედიტი (ECTS) (30 კრედიტი სავალდებულო საგნები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი)												
№	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**კრედიტი (ECTS)**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**					**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				საკონტაქტო			**დამოუკიდებელი**	**სულ**		**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
				ლექცია	**სემინარი**	**საგამოცდო**						
1		დარგობრივი ინგლისური ენა 1	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი
2		დარგობრივი ინგლისური ენა 2	5	30	15	5	75	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი
3		გეოგრაფიული	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასისტენტ პროფესორი

		ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 1										ვლადიმერ ჩხაიძე
4		გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 2	5	30	30	5	60	125	გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 1		✓	ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე
5		განვითარების გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
6		მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია
7		სამაგისტრო ნაშრომი	30	-	45	-	705	750	მინ. 80 კრედიტი[8], მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	✓	✓	სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 60 კრედიტი (ECTS) ერთ-ერთი მოდული - 30 კრედიტი; სხვა არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი ECTS) თავისუფალი კრედიტი - 10 კრედიტი ECTS)												
არჩევითი მოდული 1: სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია												

[8] **გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

1		სოციალური გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
2		თანამედროვე გლობალური სისტემები და პრობლემები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე
3		გეოპოლიტიკა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გეოგრაფია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი გიორგი გოგსაძე
4		კავკასიის გეოპოლიტიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მოწვეული პედაგოგი ვახტანგ მაისაია
5		ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
6		ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓		პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
7		თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე
არჩევითი მოდული 2: ტურიზმის გეოგრაფია და სივრცითი განვითარება												
1		საქართველოს რეგიონული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მოწვეული პედაგოგი რუსუდან თევზაძე
2		ევროპის ტურიზმის	5	15	30	2	78	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი

		გეოგრაფია										ნინო პავლიაშვილი
3		ქალაქგეგმარების სოციალური განზომილება	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	მოწვეული პედაგოგი ზურაბ ბაქრაძე
4		ტურიზმის მარკეტინგი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი
5		მიწის პოლიტიკა და სივრცითი დაგეგმარება	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		✓	პროფესორი იოსებ სალუქვაძე
6		ქალაქის ეკოლოგია და თანამედროვე ურბანული თეორიები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	მოწვეული პედაგოგი მამუკა სალუქვაძე
7		ტურიზმის თეორია და პრაქტიკა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		მოწვეული პედაგოგი ნიკო კვარაცხელია
8		ტურისტული საქმიანობის ორგანიზება	5	15	30	2	78	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
პროგრამის საერთო არჩევითი კურსები												
1		სოციალური კვლევის მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე
2		საველე პრაქტიკა რეგიონულ ტურიზმში	5	0	45	3	77	125	წინაპირობის გარეშე		✓	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
3		მსოფლიოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		✓	პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

		(დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრატურის პროგრამიდან)										
თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)												

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა_____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა_____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი